ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

# წლიური ანგარიში

# 2007

www.osgf.ge

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“
თბილისი 0108 ჭოველიძის ქ. 10
ტელ.: (995 32) 25 04 63
ფაქსი: (995 32) 29 10 52

contact@osgf.ge
www.osgf.ge

რედაქტორები: თამარ თითმერია, ენტონი შერმანი

*დაკაბადონება: ნატალია გოგიაშვილი*
*დიზაინი და ბეჭდვა: შ.პ.ს. „სი-ჯი-ეს“ (კალამუს გრაფიკის სტუდია)*

# სარჩევი


- წინათქმა 5
- პროგრამები 7
  - კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამა 7
  - სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა 17
  - ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამა 22
  - პროგრამა „აღმოსავლეთ-აღმოსავლეთი" 30
  - ხელოვნებისა და კულტურის პროგრამა 40
  - ეკონომიკური განვითარების პროგრამა 43
  - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა 46
  - აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა 52
- 2007 წლის გამოცემები 54
- 2007 წლის ბიუჯეტი 63

# განახლებული მიდგომით ახალ გარემოში

## წინათქმა

2007 წელს ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ 2006-2008 წლების სამოქმედო სტრატეგიის განხორციელებას განაგრძობდა. აქცენტი კვლავინდებურად დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კულტურის დამკვიდრებისაკენ მიმართულ პროექტებზე გაკეთდა, მათ შორის იმ პროექტებზე, რომელთა მიზანი იყო საზოგადოების მონაწილეობა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესში, დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა, სამთავრობო პროგრამების მონიტორინგი, ელექტრონული გამჭვირვალობის მექანიზმების დანერგვა საჯარო სამსახურებში, უფასო იურიდიული დახმარების გაფართოება თუ სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა. ფონდი საგრანტო პროგრამებს საკონკურსო და არასაკონკურსო პროექტების დაფინანსებით განაგრძობდა. იმავდროულად, ფართოვდებოდა ფონდის პროგრამების თანამშრომელთა საოპერაციო - კვლევასა და ანალიზზე ორიენტირებული საქმიანობა, რომელმაც რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივებისა და საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ძალთა ურთიერთდამოკიდებულების თემებიც მოიცვა.

ამავე დროს, ქვეყანაში 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში განვითარებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა და ვადამდელმა საპრეზიდენტო არჩევნებმა კორექტივი შეიტანა ჩვენს სამოქმედო გეგმებში. ფონდი ოპერატიულად ჩაერთო ერთის მხრივ არასამთავრობო სექტორისა და მედიის შიგნით დიალოგის ორგანიზებაში, მეორეს მხრივ კი წინასაარჩევნო პროცესებისა და არჩევნების მონიტორინგზე ორიენტირებული ღონისძიებების მხარდაჭერაში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ფონდის დაფინანსებით შექმნილი მედიაცენტრი, რომლის მეშვეობით არჩევნების მონიტორინგით დაკავებული არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთ მოსაზრებებსა და დასკვნებს ოპერატიულად აცნობდნენ საზოგადოებას. განხორციელდა უშუალოდ არჩევნებზე დაკვირვებასა და ამომრჩეველთა განათლებაზე ორიენტირებული პროექტებიც.

საქართველო თავისი განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპზეა. 2003 წლის მიწურულიდან ქვეყანაში დაწყებული დემოკრატიული რეფორმები გასაგრძელებელია. ამავე დროს, აუცილებელია გარდაუვალი გადაცდომების კორექტირება და რეფორმების პროცესში საზოგადოებრივ ჯგუფთა მონაწილეობის ზრდის უზრუნველყოფა. ასეთ ვითარებაში ფონდი „ ღია საზოგადოება - საქართველო“ რჩება ქართული საზოგადოებრივი ინტერესის გამომხატველ, დემოკრატიისა და ღია საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპებთან თავსებადი ინიციატივების მხარდამჭერ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად. წინამდებარე ანგარიში, რომელიც ფონდის მიერ 2007 წლის მანძილზე დაფინანსებულ აქტივობებს ასახავს, ნათლად აჩვენებს ჩვენი საქმიანობის ღირებულებას საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის.



**დავით დარჩიაშვილი**

ფონდის „ ღია საზოგადოება – საქართველო“
აღმასრულებელი დირექტორი

www.osgf.ge

# პროგრამები

## კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამა

კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის მიზანია: საზოგადოების მეტი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საკუთარი როლისა და მნიშვნელობის გასაცნობიერებლად ქვეყნის განვითარებაში; საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი გარანტიებისა და მექანიზმების დამკვიდრება საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე; სამართლებრივ სფეროსა და სამართალდამცავ ორგანოებში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა და პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა; საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება და პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა, სამოქალაქო საზოგადოებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების ქმედუნარიანობის ამაღლება, მათი აქტიური მონაწილეობა ადვოკატირებასა და პოლიტიკის შემუშავებაში; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერება და საჯარო ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა.

**2007 წელს კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამა მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით:**

- ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა და საჯარო ადმინისტრირება;
- საბიუჯეტო გამჭვირვალობა.

## ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება

**2007 წელს ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულების ძირითადი პრიორიტეტები იყო:**

- სამართლებრივი დახმარების სისტემის რეფორმა საქართველოში;
- პოლიციელთა პროფესიულ მომზადებაში ახლებური მიდგომების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურისა და პოლიციის დაფუძნების მხარდაჭერა საქართველოში;
- სისხლის სამართლებრივი რეფორმის გამჭვირვალობა;
- სამოქალაქო ჩართულობა საკანონმდებლო პროცესში;
- ადამიანის უფლებათა დაცვის მიდგომის მხარდაჭერა ჯანდაცვის სისტემაში.

### *პროგრამული აქტივობები*

- ***არასაკონკურსო პროექტები ****

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი | **სისხლის სამართლის რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე სისხლის სამართლებრივ რეფორმებზე** [1]<br>*სატელევიზიო გადაცემების მომზადება და რეფორმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან საზოგადოების ინფორმირება, აგრეთვე, პროფესიული ხასიათის დისკუსიების მოწყობა რეფორმებთან დაკავშირებით.* | $ 7 000 |

** მათ შორის თანადაფინანსებული პროექტები.*

*[1] ფონდის სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის მიერ თანადაფინანსებული პროექტი (პროექტის საერთო ბიუჯეტი: $ 38 785; ფონდის სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის მიერ დაფინანსებული ნაწილი: $ 31 785).*

| | | |
|---|---|---|
| ასოციაცია „მწვანე ტალღა“ | **რეფორმების სამოქალაქო/მედია მხარდაჭერა**<br>*პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სფეროში მიმდინარე რეფორმების საჯარო განხილვა მინისტრებთან ერთად, საზოგადოებისათვის მიმდინარე რეფორმების შესახებ პირველწყაროდან ინფორმაციის მიწოდება.* | $ 21 608 |
| | ჯამი: | $ 28 608 |

## შიდა პროექტები *

| | | |
|---|---|---|
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **იურიდიული დახმარების სამსახურის (ყოფილი საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის) დახმარება** [1]<br>*მატერიალური ფასეულობების (კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ავეჯი) გადაცემა გრანტის სახით იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისისა და ქუთაისის ტერიტორიულ ბიუროებში 29 სამუშაო ადგილის აღსაჭურვად.* | $ 68 171 |
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **საზოგადოებრივი პროკურორების სამუშაო ვიზიტი** [2]<br>*პროკურორების სასწავლო ვიზიტი აშშ-ში საზოგადოებრივი პროკურატურის ოფისებში (ქ. ქ. ნიუ-იორკი, პორტლანდი, სიეტლი), 28 X - 2 XI. 2007.* | $ 30 754 |
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **პოლიციელთა პროფესიულ მომზადებაში ახლებური მიდგომები - დამასრულებელი ეტაპი**<br>*პოლიციის აკადემიის მასწავლებელთა ტრენინგი (უცხოელი ტრენერების მონაწილეობით) ფონდის მიერ მომზადებული სასწავლო მოდულების მეთოდოლოგიის გასაცნობად; პოლიციის აკადემიის ტექნიკური დახმარება მოდულების მეთოდოლოგიის დანერგვისათვის.* | $ 4 509 |
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **იურიდიული დახმარების სისტემის ხელშეწყობა**<br>*იურიდიული დახმარების კანონის დანერგვის ხელშეწყობა, კერძოდ: იურიდიული დახმარების სამსახურის გაძლიერება, საკონსულტაციო ცენტრების და მოქალაქეთა მომსახურების ბიუროების გახსნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება და სრულყოფილი კვალიფიციური იურიდიული დამხმარების გაწევა საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენებისათვის.* | $ 102 000 |
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **კონფერენცია „ეროვნულ სასამართლოებსა და ევროპულ რეგიონულ სასამართლოებს შორის ურთიერთმიმართება“ (ნაწილობრივი დაფინანსება)**<br>*კონფერენციის ორგანიზება 2007 წლის 6-7 ნოემბერს ქ. ბათუმში. ძირითადი საკითხები: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ადგილი და როლი ეროვნულ მართლწესრიგში; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის ურთიერთმიმართება; მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს იურისდიქცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.* | $ 5 590 |

* *მათ შორის თანადაფინანსებული პროექტები.*

[1] *„ღია საზოგადოების სამართლებრივი ინიციატივის“ მიერ თანადაფინანსებული პროექტი.*

[2] *„ღია საზოგადოების სამართლებრივი ინიციატივის“ მიერ თანადაფინანსებული პროექტი.*

| | | |
|---|---|---|
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **საქართველოში საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელის დამკვიდრების ხელშეწყობა – დამასრულებელი ეტაპი**<br>*საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელის განვითარების ხელშეწყობა, რაც არსებულ საპილოტო რეგიონებში პროკურატურებისათვის ტექნიკურ და ექსპერტულ დახმარებებში გამოიხატება და პარალელურად მოიცავს საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ქვეყნის მთელი მასშტაბით ამ მიდგომის დამკვიდრების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.* | $ 80 000 |
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **კომპიუტერული დანაშაულის პრევენცია და უსაფრთხო ინტერნეტი**<br>*სისხლის სამართლის კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, კომპიუტერულ დანაშაულთან დაკავშირებით ცვლილებების პაკეტის მომზადება.* | $ 12 750 |
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **მრგვალი მაგიდები, შეხვედრები იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტთან და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით**<br>*საქართველოსა და სხვა ქვეყნების იურიდიული დახმარების სამსახურებს შორის მენეჯმენტის საკითხებში გამოცდილების გაზიარება, სამსახურების პროგრამული უზრუნველყოფისათვის საერთო ხედვის შემუშავება.* | $ 36 440 |
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **„კანონის, მედიისა და ჯანმრთელობის" პროექტი**<br>*ტრენინგი პროკურორების, მოსამართლეების და ადვოკატებისათვის „ჯანმრთელობის სამართლის" სფეროში; ამ დისციპლინის ცალკე სასწავლო საგნად ჩამოყალიბებისა და უმაღლეს სასწავლებლებში დანერგვის მიზნით კურიკულუმის მომზადება; ჯანდაცვის ბიუჯეტის მონიტორინგი, კერძოდ, „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგის" ადვოკატირება.* | $ 10 000 |
| | ჯამი: | $ 350 214 |

2007 წელს ადამიანის უფლებებისა და კარგი მმართველობის მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობდა 2006 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული და ჯერ დაუსრულებელი შემდეგი პროექტების ადმინისტრირება:

| | |
|---|---|
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის მოდელის დანერგვა საქართველოში – II ფაზა**<br>*საქართველოში საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული პროკურატურის მოდელის დანერგვა და ამ გზით პროკურატურის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა; დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და საზოგადოების ინტერესების დაცვის მიმართულებით პროკურატურის ორგანოების მუშაობის ეფექტურობის უზრუნველყოფა; პროკურატურის რეფორმირების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა.* |
| ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის მიმართულება | **იურიდიული დახმარების სისტემის მშენებლობა საქართველოში – II ფაზა**<br>*იურიდიული დახმარების კანონის დანერგვის ხელშეწყობა, კერძოდ: იურიდიული დახმარების სამსახურის გაძლიერება, საკონსულტაციო ცენტრების და მოქალაქეთა მომსახურების ბიუროების გახსნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება და სრულყოფილი კვალიფიციური იურიდიული დამხმარების გაწევა საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენებისათვის.* |

# საბიუჯეტო გამჭვირვალობის მიმართულება

2007 წელს საბიუჯეტო გამჭვირვალობის მიმართულების ძირითადი პრიორიტეტები იყო:

- ☐ ბიუჯეტის საკითხებში ცნობიერების ამაღლება;
- ☐ სახელმწიფო ფინანსების განკარგვის დამოუკიდებელი კრიტიკული ანალიზის შესაძლებლობის განვითარება;
- ☐ სახელმწიფო დანახარჯების მონიტორინგი.

## პროგრამული აქტივობები

### არასაკონკურსო პროექტები *

| | | |
|---|---|---|
| ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (კოალიციური პროექტი, რომელშიც ფონდი მონაწილეობს) | **ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის მონიტორინგი – III ეტაპი** [1]<br>*ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის მონიტორინგი, შესყიდვების მონიტორინგი და სხვა.* | $ 36 797 |
| საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (კოალიციური პროექტი, რომელშიც ფონდი მონაწილეობს) | **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის (BP) მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი საგრანტო თანხის მონიტორინგი**<br>*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის (BP) მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი საგრანტო თანხის მიზნობრიობის მონიტორინგი და რეკომენდაციების მომზადება საგრანტო ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.* | $ 29 975 |
| | ჯამი: | $ 66 772 |

### შიდა პროექტები *

| | | |
|---|---|---|
| საბიუჯეტო გამჭვირვალობის მიმართულება | **შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამა (III ფაზა, იანვარი-დეკემბერი 2007)** [2]<br>*ნავთობისა და გაზის მოპოვებიდან და ტრანზიტიდან ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი, გამჭვირვალობის ხელშეწყობა.* | $ 33 910 |
| საბიუჯეტო გამჭვირვალობის მიმართულება | **კოალიცია „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის" საბჭოს მხარდასაჭერი პროექტი**<br>*კოალიციის საბჭოს ყოველთვიური შეხვედრების და საქმიანობების მხარდაჭერა.* | $ 3 460 |

* *მათ შორის თანადაფინანსებული პროექტები.*

[1] *ფონდის ეკონომიკური განვითარების პროგრამის მიერ თანადაფინანსებული პროექტი (პროექტის საერთო ბიუჯეტი: $ 42 001, ფონდის ეკონომიკური განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული ნაწილი: $ 5 204).*

[2] *შემოსავლების მეთვალყურეობის ინსტიტუტის მიერ თანადაფინანსებული პროექტი (პროექტის საერთო ბიუჯეტი: $ 33 910; შემოსავლების მეთვალყურეობის ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული ნაწილი: $15 485).*

| | | |
|---|---|---|
| საბიუჯეტო გამჭვირვალობის მიმართულება | **საქართველო და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა – ანალიტიკური ანგარიშის მომზადება** [1]<br>*პროექტის ფარგლებში ანალიტიკური ანგარიშის მომზადება და გამოცემა თემაზე - საქართველო და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა.* | $ 5 270 |
| საბიუჯეტო გამჭვირვალობის მიმართულება | **შპს „საქართველოს რკინიგზა“ – ანალიტიკური ანგარიშის მომზადება**<br>*შპს „საქართველოს რკინიგზის“ პრივატიზებასთან ან მართვის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ანალიტიკური ანგარიშის მომზადება, საქართველოს ხელისუფლების მიერ რკინიგზასთან მიმართებით გატარებული პოლიტიკის შეფასების მიზნით.* | $ 10 293 |
| საბიუჯეტო გამჭვირვალობის მიმართულება | **შამილა კასიმის ვიზიტი საქართველოში** [2]<br>*საერთაშორისო ბიუჯეტის პროექტის ექსპერტის შამილა კასიმის ვიზიტი საქართველოში. ტრენინგის ორგანიზება თემაზე: „ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგების ადვოკატირება“.* | $ 1 093 |
| | ჯამი: | $ 54 026 |

## ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულება

2007 წელს ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულების ძირითადი პრიორიტეტები იყო:

- საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიშის მომზადება;
- ადგილობრივი მმართველობის განვითარების მხარდაჭერა;
- სახელმწიფო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ყოფილი საჯარო მოხელეებისათვის სამოქალაქო განათლების პროგრამა „სიგმა“;
- საჯარო სამსახურის რეფორმის მხარდაჭერა;
- საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მონიტორინგის განხორციელების ხელშეწყობა.

### *პროგრამული აქტივობები*

- *საკონკურსო პროექტები*

| | | |
|---|---|---|
| ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“ | **თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესება**<br>*საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მასმედიის საშუალებებთან ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შემუშავება და მათთვის ნორმატიული ხასიათის მიცემა; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საზოგადოების ინფორმირებისათვის ხელშეწყობა.* | $ 14 130 |

[1] *ფონდის ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამის მიერ თანადაფინანსებული პროექტი (პროექტის საერთო ბიუჯეტი: $5 270, ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამიდან დაფინანსებული ნაწილი: $ 2 358).*
[2] *ღია საზოგადოების ინსტიტუტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ქსელური პროგრამის მიერ თანადაფინანსებული პროექტი.*

| | | |
|---|---|---|
| სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი | **საქართველოში სურსათის უვნებლობა და საზოგადოების ინფორმირებულობა**<br>*სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის და გამჭვირვალობის ამაღლება, სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთეულის განვითარება; საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვა უვნებელი და ხარისხიანი საკვების მიღების ხელშეწყობის კუთხით.* | $ 41 812 |
| საქართველოს უსინათლოთა კავშირი | **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების საზოგადოებასთან ინტეგრაციის უნარ-ჩვევების გამომუშავების პროექტი**<br>*უსინათლო ახალგაზრდების ტრენინგი მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით.* | $ 3 500 |
| საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი „კავკასია" | **პროფესიული განვითარების ტრენინგი და დასაქმების სამსახური ახალგაზრდებისათვის**<br>*სტუდენტთა ცოდნის ამაღლება მცირე ბიზნესის განვითარების საკითხებში, მათი ხელშეწყობა 2007 წლის განათლებისა და დასაქმების ფორუმზე წარსადგენად. სტუდენტთა შერჩევა ტესტური გამოცდისთვის ბიზნესის განვითარების პროფესიული ტრენინგების და „ფორ ჯობ" ტრენინგების გასავლელად. 100 სტუდენტის წარდგენა განათლების და დასაქმების ფორუმზე 2007.* | $ 6 997 |
| | ჯამი: | $ 66 439 |

### *არასაკონკურსო პროექტები **

| | | |
|---|---|---|
| საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო | **საარჩევნო საკითხებზე კოალიციური არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერა**<br>*რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ერთიანი მედიაცენტრის დაარსება და მისი მეშვეობით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის პარალელურად, მოსახლეობისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არჩევნების მონიტორინგთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება;*<br>*საინფორმაციო კლიპის მეშვეობით მოსახლეობის ინფორმირება საარჩევნო კოდექსით უზრუნველყოფილი ხმის მიცემის ფარულობის თაობაზე.* | $ 27 100 |
| ახალი თაობა – ახალი ინიციატივა | **საარჩევნო საკითხებზე კოალიციური არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერა**<br>*არჩევნების დღისათვის სადამკვირვებლო მისიის ხელშეწყობა.* | $ 7 303 |
| სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი | **ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა საარჩევნო უფლებებით ეფექტური სარგებლობისათვის**<br>*ქვემო ქართლის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება საარჩევნო საკითხებში, რეგიონში არჩევნებზე დაკვირვება და ადგილობრივი ჟურნალისტების ტრენინგი.* | $ 17 150 |

** მათ შორის თანადაფინანსებული პროექტები.*

| | | |
|---|---|---|
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კავშირი „კეთილდღეობის გარანტი" | **ობიექტური არჩევნები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობით**<br>*შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინფორმირება საარჩევნო უფლებების შესახებ და არჩევნებში მათი აქტივობის გაზრდა.* | $ 8 593 |
| საერთაშორისო განათლების ცენტრი | **თავისუფალი არჩევნები – დემოკრატიის მშენებლობის საშუალება**<br>*სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლება; ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა; რეგიონში მომავალი ლიდერების მომზადება; მოსახლეობისათვის კონსულტაციების გაწევა არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე.* | $ 5 660 |
| საქართველოს გაეროს ასოციაცია | **ქალაქ თბილისის მერიის მოქალაქეთა მომსახურების სისტემის განვითარება** [1]<br>*ქ. თბილისის მერიის მიერ მოქალაქეთათვის ეფექტური მომსახურების განხორციელება.*<br>*„მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის" სამართლებრივი უზრუნველყოფა; ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი.* | $ 20 000 |
| საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი | **განათლება და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები**<br>*განათლების რეფორმის და დაფინანსების თაობაზე კვლევის ჩატარება და მრგვალი მაგიდის მოწყობა.* | $ 18 977 |
| დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი | **ზემო აფხაზეთის სამართლებრივი დახმარება**<br>*ზემო აფხაზეთის მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ლექცია-სემინარების, შეხვედრების, საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ახალი კანონმდებლობის გაცნობა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა.* | $ 10 945 |
| ილკო კუჩერივი | **ილკო კუჩერივის ვიზიტი საქართველოში**<br>*ილკო კუჩერივის – საარჩევნო ექსპერტის ვიზიტი საქართველოში.* | $ 1 400 |

ჯამი: $ 117 128

*[1] ფონდის სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის მიერ თანადაფინანსებული პროექტი (პროექტის საერთო ბიუჯეტი: $ 46 610. ფონდის სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის მიერ დაფინანსებული ნაწილი: $ 26 610.)*

## პარტნიორული პროექტები

| | | |
|---|---|---|
| ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულება; სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი | **სამოქალაქო საზოგადოება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის ინსტიტუციური განვითარებისა და მხარდაჭერისათვის**<br>*ყოფილი სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა; დროებითი ადმინისტრაციის მთავრობისა და აპარატის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; ადმინისტრაციის მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანამშრომლობის გაღრმავება.* | $ 38 800 |
| ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულება; სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი | **სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების თანამშრომლობის ხელშეწყობა კახეთის რეგიონში**<br>*კახეთის რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ადგილობრივ პრობლემათა გამოკვეთასა და მათი გადაჭრის ძიებაში ერთობლივი ძალისხმევის გამოყენება; ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება/წახალისება და მათი მომზადება მომავალი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.* | $ 29 225 |
| საჯარო სამსახურში სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების იმერეთის რეგიონული ცენტრი | **ადმინისტრაციული საქმისწარმოება და მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში**<br>*საქართველოს 67 მუნიციპალიტეტის აპარატის უფროსებისა და იურიდიული სამსახურების წარმომადგენლებისათვის თვითმმართველობის ორგანოებში ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა და დოკუმენტების შედგენის სამართლებრივი ბაზის გაცნობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.* | $ 39 789 |
| | ჯამი: | $ 107 814 |

## შიდა პროექტები

| | | |
|---|---|---|
| ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულება | **ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ანგარიში - 2007**<br>*ყოველწლიურად საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის მიმდინარეობისა და მისი პერსპექტივების შეფასება, ახალი პოლიტიკური ალტერნატივების განსაზღვრა და შესაბამისი ადგილობრივი/საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, ასევე დაინტერესებულ პირთათვის მიწოდება.* | $ 31 552 |
| | ჯამი: | $ 31 552 |

### *სხვა ხარჯები*

კონკურსების, მონიტორინგის, შეხვედრების და სხვა ღონისძიებების ორგანიზების ხარჯი: $ 9 369

2007 წელს ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობდა 2006 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული და ჯერ დაუსრულებელი შემდეგი პროექტების ადმინისტრირება:

| | |
|---|---|
| *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ასოციაცია „გეა"* | **ქ. ხაშურის №3 საბავშვო ბაღში ინკლუზიური სწავლების დანერგვა**<br>*სკოლამდელი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა ინკლუზიური სწავლების დანერგვით ქ. ხაშურის №3 ბაღში; სკოლამდელი ინკლუზიური სწავლების მეთოდების სტანდარტების შესაქმნელად რეკომენდაციების შემუშავება.* |
| *ახალგაზრდა ინიციატორთა სახლი „აისი"* | **მოზარდთა განათლება**<br>*ქ. რუსთავის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის კრიტიკული აზროვნებისა და ორატორული ნიჭის განვითარება, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება, სამოქალაქო განათლების უზრუნველყოფა.* |

სულ: $ 836 568

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სულ პროგრამული აქტივობებისათვის დახარჯული თანხა: | | | | 836 568 |
| პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა | პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი | | 376 600 | 863 523 |
| | დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან | ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI) | 396 767 | |
| | | ფონდის სხვა პროგრამებიდან მიღებული თანხა | 502 729 | |
| | | ღია განკარგვის ფონდი (ODF) | 24 399 | |
| | | მესამე წყარო | 15 485 | |
| გამოუყენებელი თანხა | ფონდის სხვა პროგრამებისათვის გადაცემული თანხა | | 4 920 | 26 955 |
| | გაუნაწილებელი თანხა | | 22 035 | |
| ადმინისტრაციული ბიუჯეტი | | | | 60 853 |
| სულ ფონდის ბიუჯეტიდან პროგრამაზე გადანაწილებული თანხა *(ქსელური თანხების ჩათვლით)* | | | | 924 376 |



# სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა

სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის (სსმმ) პროგრამის ძირითადი მიზანია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის, საქართველოში რეფორმების მიმდინარეობაზე სამოქალაქო კონტროლისა და თვითმოქმედი, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მომრავლების უზრუნველყოფა, ასევე, თავისუფალი მედიის, როგორც საზოგადოების ენერგიის მობილიზებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გზით დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმის, მხარდაჭერა.

აღნიშნული მიზნის მიღწევას სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ინსტიტუციური და პროფესიული პოტენციალის განვითარების, ასევე თანამშრომლობის მექანიზმების მხარდაჭერით ცდილობდა.

**2007 წელს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით:**

- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა;
- დამოუკიდებელი მედიის განვითარების მხარდაჭერა.

## სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მიმართულება

**2007 წელს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მიმართულების ძირითადი პრიორიტეტები იყო:**

- გადაწყვეტილების მიღებისა და რეფორმების მიმდინარეობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მხარდაჭერა;
- სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა;
- დამწყები არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერა.

### *პროგრამული აქტივობები*

- *საკონკურსო პროექტები*

| | | |
|---|---|---|
| ასოციაცია „ზეკარი“ | **ბიომრავალფეროვნება და ადგილობრივი თემები**<br>*სვანეთისა და რაჭის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, თანამონაწილეობრივი დაგეგმარებისა და ადგილობრივი მხარდამჭერი ჯგუფის შესაძლებლობათა გაზრდის საშუალებით.* | $ 12 758 |
| ზესტაფონის საინფორმაციო ცენტრი | **ფორუმი - ეფექტური თანამშრომლობისათვის**<br>*ამხანაგობათა შორის თანამშრომლობის განვითარება, ამხანაგობების მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან/გამგეობასთან თანამშრომლობა.* | $ 9 652 |
| კავშირი „მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოება“ | **გადაცემების ციკლი ადგილობრივ ტელევიზიაში, საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში**<br>*ტექნიკური საშუალებების შექმნა საზოგადოებრივი დისკუსიების ჩასაწერად ადგილობრივ ტელევიზიაში („მარნეული TV“); ადგილობრივი ტელევიზიის ეთერში გადაცემების ციკლის მომზადება.* | $ 12 948 |

| | | |
|---|---|---|
| პროფკავშირული ორგანიზაციების რუსთავის საქალაქო გაერთიანება | **პროფკავშირის რეგიონული განვითარება**<br>*პროფკავშირული მოძრაობის განვითარება ქ. რუსთავსა და ქვემო ქართლის რეგიონში.* | $ 15 168 |
| სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი | **თანამშრომლობა და ინსტიტუციური განვითარება განათლების გზით სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშესაწყობად**<br>*არასამთავრობო ორგანიზაციების – „სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი", „ქალები ჯავახეთის მომავლისათვის" და „ბოლნისის ენის სახლი" - ინსტიტუციური განვითარება და მათი თანამშრომლობის ხელშეწყობა.* | $ 16 197 |

ჯამი: $ 66 723

## არასაკონკურსო პროექტები *

| | | |
|---|---|---|
| ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული ცენტრი | **ძველი ბათუმი**<br>*საარქივო და პუბლიცისტური წყაროების მოძიება ძველი ბათუმის ისტორიული და არქიტექტურული ღირებულებების მქონე ძეგლების შესახებ; ძველი ბათუმის ისტორიული, არქიტექტურული, კულტურული ღირებულებების ძეგლების შესახებ დოკუმენტური გამოცემების მომზადება, დაბეჭდვა და გავრცელება; ქალაქის ხუროთმოძღვრული ნიმუშების გადარჩენის ხელშეწყობა, მათი ელექტრონულ მონაცემთა ბაზის შექმნა.* | $ 3 623 |
| მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი | **თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სამოქალაქო საბჭოს მხარდაჭერა**<br>*სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობების განვითარება და სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის გაძლიერება უსაფრთხოების სექტორზე.* | $ 21 585 |
| საქართველოს გაეროს ასოციაცია | **ქალაქ თბილისის მერიის მოქალაქეთა მომსახურების სისტემის განვითარება** [1]<br>*ქ. თბილისის მერიის მიერ მოქალაქეთათვის ეფექტური მომსახურების განხორციელება; „მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის" სამართლებრივი უზრუნველყოფა; „მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის" ადამიანური რესურსების განვითარება.* | $ 26 610 |
| ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული ცენტრი | **საბინაო ამხანაგობების ასოციაციის განვითარების ხელშეწყობა ბათუმში**<br>*ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში და მიმდინარე რეფორმებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშეწყობა, მოქალაქეთა თვითმმართველი უჯრედების განვითარების წახალისება.* | $ 30 985 |

ჯამი: $ 115 410

** მათ შორის თანადაფინანსებული პროექტები*

*[1] ფონდის კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის საჯარო ადმინისტრირების მიმართულების მიერ თანადაფინანსებული პროექტი (პროექტის საერთო ბიუჯეტი: $ 46 610; კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის საჯარო ადმინისტრირების მიმართულების მიერ დაფინანსებული ნაწილი: $ 20 000).*

### შიდა პროექტები *

| | | |
|---|---|---|
| სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მიმართულება | **ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ყოველკვარტალური ბიულეტენი** [1]<br>*პროგრამის ბიუჯეტიდან ფონდის ყოველკვარტალური ბიულეტენის მომზადება და გამოცემა (ოპერაციული ტიპის პროექტი).* | $ 712 |
| | ჯამი: | $ 712 |

## მედიის მხარდაჭერის მიმართულება

2007 წელს მედიის მხარდაჭერის მიმართულების ძირითადი პრიორიტეტები იყო:

- მედია გაერთიანებების/ასოციაციების განვითარების ხელშეწყობა;
- რეგიონული ბეჭდვითი მედია ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა;
- მედია განათლების ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის საქმიანობის მხარდაჭერა.

### პროგრამული აქტივობები

#### საკონკურსო პროექტები

| | | |
|---|---|---|
| მაია ყალაბეგაშვილი | **კახეთის მედია პორტალი**<br>*გაზეთების „სპექტრი“ და „კახეთის ხმა“ ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა და მედიის განვითარებაზე ორიენტირებული შესაძლებლობების მხარდაჭერა.* | $ 15 800 |
| „ახალი გაზეთი“ | **თანამშრომლობა განვითარებისათვის**<br>*დასავლეთ საქართველოს მსხვილ რეგიონულ ცენტრებში გამომავალი გაზეთების შინაარსობრივი, ვიზუალური და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა.* | $ 15 794 |
| | ჯამი: | $ 31 594 |

#### არასაკონკურსო პროექტები *

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი | **საზოგადოების ინფორმირება სისხლის სამართლის რეფორმის შესახებ**[2]<br>*საზოგადოების ინფორმირება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და ინსტიტუტების რეფორმის მიმდინარეობის შესახებ სატელევიზიო დებატების ორგანიზების გზით.* | $ 31 785 |

** მათ შორის თანადაფინანსებული პროექტები*

*[1] სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მიმართულებიდან დაფინანსებული ნაწილი (პროექტი თანადაფინანსებულია ფონდის სხვა პროგრამების ადმინისტრაციული ბიუჯეტებიდან).*

*[2] ფონდის კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის საჯარო ადმინისტრირების მიმართულების მიერ თანადაფინანსებული პროექტი (პროექტის საერთო ბიუჯეტი: $ 38 785; კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის ადამიანის უფლებებისა და კარგი მმართველობის მიმართულებიდან დაფინანსებული ნაწილი: $ 7 000; პროექტის პროგრამულ ბიუჯეტზე ღია განკარგვის ფონდიდან დამატებული თანხა $ 15 388).*

| | | |
|---|---|---|
| ნინო კაკაბაძე | **დისკუსია მედია სექტორში არსებული აქტუალური საკითხების შესახებ** [1]<br>*ერთდღიანი კონფერენციის ორგანიზება, რომელიც მიეძღვნება ქართულ მედია სექტორში არსებული აქტუალური საკითხების განხილვას.* | $ 1 000 |
| სტუდია „მონიტორი“ | **„საგამომძიებლო ჟურნალისტიკა დამოკრატიის მხარდასაჭერად“**<br>*ჟურნალისტური გამოძიებების მომზადება ტელეფორმატში; ტელეგამოძიებების ბეჭდური ვერსიების მომზადება.* | $ 18 300 |
| მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი | **ქართულ-რუსული საიტის - www.pankisi.info მხარდაჭერა**<br>*ქართულ-რუსული ვებსაიტის ადმინისტრირება, განვითარება და პოპულარიზაცია.* | $ 17 728 |
| ასოციაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“ | **ინტეგრაცია - ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გზით** [2]<br>*ქვემო ქართლის ქართულ-აზერბაიჯანული დამოუკიდებელი გაზეთის „ტაიმერი“ ინსტიტუციური განვითარება.* | $ 14 070 |
| საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი | **სსმ-ის საინფორმაციო სამსახურის კონსულტანტი** [3]<br>*კონსულტანტის (ფრანგი სპეციალისტი ოლივიე მიშელი) მოწვევა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო დეპარტამენტში.* | $ 49 752 |
| ქ. თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის დეპარტამენტი | **ოთხი ელემენტი (ჟურნალისტური განათლების გაუმჯობესებისათვის)**<br>*ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების მომზადება - „ჟურნალისტიკის შესავალი“, „რადიოგადაცემების მომზადება“, „საგამოძიებო ჟურნალისტიკა“; ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკის მხარდაჭერა.* | $ 27 123 |
| დალი კუპრავა | **„არჩევანი“**<br>*საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრიორიტეტების კვლევა და ანალიზი; სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებისა და ინფორმირების ხელშეწყობა გაზეთის „24 საათი“ ჩანართის საშუალებით.* | $ 1 361 |
| მაია გოგოლაძე | **საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი (გადაცემათა ციკლი) „საუბრები“, ფუნქციური კვლევა საზოგადოების მოლოდინებისა და დაკვეთის რეალიზაციის ჭრილში**<br>*საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტის „საუბრები“ კომუნიკაციური, შინაარსობრივი ფუნქციის და საზოგადოებრივი მოლოდინებისა და საზოგადოებრივი დაკვეთის რეალიზაციის ხარისხის კვლევა.* | $ 7 603 |
| | ჯამი: | $ 168 722 |

[1] *ფონდის კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის საჯარო ადმინისტრირების მიმართულების მიერ თანადაფინანსებული პროექტი (პროექტის საერთო ბიუჯეტი: $ 2995; კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის საჯარო ადმინისტრირების მიმართულების მიერ დაფინანსებული ნაწილი: $ 1995).*

[2] *ფონდის ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამის მიერ თანადაფინანსებული პროექტი (პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: $ 19 000; ფონდის ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამის მიერ დაფინანსებული ნაწილი $ 4 930).*

[3] *„ღია საზოგადოების ინსტიტუტის მედიის ქსელური პროგრამის“ მიერ თანადაფინანსებული ($ 24 752 ფარგლებში) პროექტი.*

### *სხვა ხარჯები*

| | |
|---|---|
| კონკურსების ადმინისტრირების და პროექტების მონიტორინგის ხარჯი: | $ 3 508 |

**სულ: $ 386 669**

<table>
<tr><td colspan="3">სულ პროგრამული აქტივობებისათვის დახარჯული თანხა:</td><td></td><td>386 669</td></tr>
<tr><td rowspan="5">პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა</td><td colspan="2">პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი</td><td>290 000</td><td rowspan="5">395 604</td></tr>
<tr><td rowspan="4">დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან</td><td>ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI)</td><td>24 752</td></tr>
<tr><td>ფონდის სხვა პროგრამებიდან მიღებული თანხა</td><td>0</td></tr>
<tr><td>ღია განვითარების ფონდი (ODF)</td><td>80 852</td></tr>
<tr><td>მესამე წყარო</td><td>0</td></tr>
<tr><td rowspan="2">გამოუყენებელი თანხა</td><td colspan="2">ფონდის სხვა პროგრამებისათვის გადაცემული თანხა</td><td>8 935</td><td rowspan="2">8 935</td></tr>
<tr><td colspan="2">გაუნაწილებელი თანხა</td><td>0</td></tr>
<tr><td colspan="3">ადმინისტრაციული ბიუჯეტი</td><td></td><td>41 483</td></tr>
<tr><td colspan="3">სულ ფონდის ბიუჯეტიდან პროგრამაზე გადანაწილებული თანხა (ქსელური თანხების ჩათვლით)</td><td></td><td>437 087</td></tr>
</table>



# ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამა

ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამის მიზანია სამოქალაქო, რეგიონული და ევროპული ინტეგრაცია ლიბერალური ღირებულებების, სამოქალაქო განათლებისა და მშვიდობის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობით.

**2007 წელს ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამა მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით:**

- ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია;
- რეგიონული ინტეგრაცია;
- საქართველოს ინტეგრაცია ევროპაში;
- კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება;
- სამოქალაქო (ღირებულებითი) განათლება;
- კულტურის კვლევები;
- სოციალური ზრუნვის ინსტიტუტების განვითარება.

**აგრეთვე, ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამა ადმინისტრირებას უწევდა ქსელურ პროგრამებს:**

- **აღმოსავლეთ–აღმოსავლეთი;**
- **ხელოვნება და კულტურა.**

2007 წელს ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები იყო:

- პრობლემური სოციალური და კულტურული საკითხების კვლევა და მისი შედეგების პოპულარიზაცია;
- მულტიკულტურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- მრავალეთნიკური და რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერა;
- კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის დამყარება;
- სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან მიმართებაში;
- აღმოსავლეთევროპული გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა.

## *პროგრამული აქტივობები*

### *საკონკურსო პროექტები*

| | | |
|---|---|---|
| პედაგოგიურ ინოვაციათა ცენტრი | **ბილინგვური I კლასის მოდელი არაქართულენოვან სკოლებში**<br>*ქვემო ქართლის 20 სკოლაში ბილინგვური სწავლების დანერგვა; ბილინგვური სახელმძღვანელოს მომზადება I კლასისათვის; სკოლების კადრების გადამზადება და სასწავლო მასალით უზრუნველყოფა.* | $ 13 992 |

| | | |
|---|---|---|
| ასოციაცია „ჯავახეთის მოქალაქეთა ფორუმი“ | **ურთიერთნდობაზე დამყარებული ინტეგრაცია და თანამშრომლობა**<br>*ჯავახეთის საჯარო სკოლების დირექტორობის კანდიდატების ტესტირებისათვის მომზადება სახელმწიფო ენისა და საპროექტო მენეჯმენტის შესწავლის გზით. ჯავახეთის საჯარო სკოლების მასწავლებლების მომზადება სახელმწიფო ენაში ტესტირებისათვის.* | $ 13 496 |
| სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი | **სამართლებრივი სწავლება – ეთნიკურ უმცირესობათა წარმატებული ინტეგრაციის საუკეთესო გზა**<br>*მარნეულსა და გარდაბანში ადგილობრივი იურისტებისა და თარჯიმნების კვალიფიკაციის ამაღლება აქ მცხოვრებ უმცირესობათა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით.* | $ 13 656 |
| დეპორტირებული მესხების საერთაშორისო ახალგაზრდული კავშირი „მესხეთი“ | **„საქართველოს არა ჰყავს დასაკარგი შვილები“**<br>*რეპატრიანტებისათვის საკანონმდებლო კრებულისა და სახელმწიფო ატრიბუტიკის თვალსაჩინოებათა მომზადება. ადგილობრივ მოსახლეობასთან საზოგადოებრივი დიალოგის ორგანიზება.* | $ 11 550 |
| ასოციაცია „აფხაზია. ინფო“ | **ერთობლივი ქართულ-აფხაზური ვებსაიტი „აფხაზია.ინფო“**<br>*ქართულ-აფხაზური ერთობლივი ვებსაიტის* www.abkhaziainfo.narod.ru. *მომზადებაში აფხაზი ჟურნალისტების მონაწილეობა.* | $ 13 980 |
| ნინო პოპიაშვილი | **დოკუმენტური ფილმი ცხინვალელ ოს და ცხინვალიდან დევნილ ქართველ ახალგაზრდებზე**<br>*60-წუთიანი დოკუმენტური ფილმის მომზადება ცხინვალელ ოს და ცხინვალიდან დევნილ ქართველ ახალგაზრდებზე.* | $ 13 996 |
| მირიან (გურამ) ოდიშარია | **ახალი ხედვა**<br>*შემოქმედებითი მივლინებების ორგანიზება აფხაზი მხატვრების, მწერლების, ფოტოხელოვანებისა და ხელოვნების საკითხებით დაინტერესებული ჟურნალისტებისათვის თბილისში და მათი ქართველი კოლეგებისათვის – სოხუმში.* | $ 15 041 |
| ნოდარ მანჩხაშვილი | **ორლანდო ფიჯესის წიგნის „ნატაშას ცეკვა“ თარგმნა**<br>*ორლანდო ფიჯესის წიგნის „ნატაშას ცეკვა“ ქართულად თარგმნა და რედაქტირება.* | $ 10 373 |
| | **ჯამი:** | **$ 106 084** |

### არასაკონკურსო პროექტები

| | | |
|---|---|---|
| კავშირი „სამოქალაქო საზოგადოებისათვის“ | **აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის გადაწყვეტის ხელშეწყობა ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით**<br>*აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონის მოდელის შემუშავება.* | $ 14 998 |

| | | |
|---|---|---|
| კავშირი „საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი“ | **მაჰმადიანი მესხების შესახებ არსებული მასალების კრებულის გამოცემა**<br>*გაზეთში „კავკასიური აქცენტი“ მაჰმადიანი მესხების შესახებ არსებული პუბლიკაციების კრებულის გამოცემა.* | $ 3 250 |
| ასოციაცია „საბავშვო ცენტრი მტრედები“ | **საქართველოში მცხოვრები ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობის პროგრამა „12 მტრედი“**<br>*ქვემო ქართლის მოსახლეობის ჩართვა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ქართულ-აზერბაიჯანული ილუსტრირებული ჟურნალის გამოცემისა და თბილისში შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზების გზით.* | $ 14 470 |
| აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების რესურსცენტრი (გიორგი ანჩაბაძე) | **საორგანიზაციო დახმარება სოხუმის „აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების რესურსცენტრს“**<br>*საორგანიზაციო დახმარება სოხუმის „აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების რესურსცენტრს“; საორგანიზაციო ტექნიკის შეძენა და ოფისის რემონტის ხარჯები.* | $ 21 215 |
| აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების რესურსცენტრი (გიორგი ანჩაბაძე) | **აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების რესურსცენტრი**<br>*შიდა პროექტების, საგრანტო კონკურსების ორგანიზება და ადმინისტრირება აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოებისა და ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობის მიზნით.* | $ 75 843 |
| გიორგი ანჩაბაძე | **ლექციები აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. სოხუმი)**<br>*სალექციო კურსი „აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია“ და „ოსმალეთის იმპერიის ისტორია“ სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.* | $ 1 611 |
| საქართველოს ატლანტიკური საბჭო | **„როუზ-როტის“ სემინარის ჩატარება**<br>*„როუზ-როტის“ სემინარის ორგანიზება საქართველოს უსაფრთხოების სექტორისა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხებზე.* | $ 2 359 |
| ლია ჭიღლაძე | **მშვიდობის გზით**<br>*ერთჯერადი სარვამარტო გაზეთის გამოცემა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქალებისათვის.* | $ 1 176 |
| საქართველო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში | **ევროატლანტიკური ინტეგრაცია - მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტია**<br>*ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ზამთრის სკოლის მოწყობა თბილისელი და ჯავახი ახალგაზრდებისათვის.* | $ 5 176 |
| საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ | **არასაომარი ზონა - საქართველო**<br>*ქ. ქ. გორში, ზუგდიდში, წყალტუბოში, თბილისში, ფოთსა და გალში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარება (ინგლისური ენა, კომპიუტერის შესწავლა, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია).* | $ 18 940 |

| | | |
|---|---|---|
| საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრი | **ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ბავშვთა და მარგინალურ თემთა უფლებების განმტკიცება სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში**<br>*სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ბავშვებზე ორიენტირებული ინკლუზიური სწავლების დანერგვა დაწყებით კლასებში და მარგინალურ თემთა სოციალური თანასწორობის შეცნობის გაღრმავება.* | $ 14 648 |
| ეველინა ტაუნიტე | **დოკუმენტური ფოტო საქართველოს შესახებ – ექსპედიცია საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებთან [1]**<br>*საქართველოს ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობით ფოტოექსპოზიციის შექმნა.* | $ 2 225 |
| საინიციატივო ჯგუფი (ხელმძღვანელი ირაკლი ნადირაძე) | **ბერილი**<br>*ბავშვთა სახლების აღსაზრდელთათვის ინიციატივების შეთავაზება, საზოგადოების წინაშე მათი პასუხისმგებლობისა და ინიციატივიანობის ამაღლების მიზნით.* | $ 15 000 |
| კავშირი „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ | **სიმონ დე ბოვუარის წიგნის „მეორე სქესი“ თარგმნა**<br>*სიმონ დე ბოვუარის წიგნის - „მეორე სქესი“ თარგმნა და რედაქტირება.* | $ 10 695 |
| ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ | **მოსწავლეთა თვითმმართველობები – სკოლის დემოკრატიის გარანტი**<br>*მოსწავლეთა ჩართვა სკოლის თვითმმართველობაში სკოლის დემოკრატიზაციის მიზნით.* | $ 20 997 |
| სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი | **სოციალური სამუშაოს სარესურსო ცენტრის განვითარება**<br>*სოციალური სამუშაოს სარესურსო ცენტრის განვითარება და სოციალური სამუშაოს სპეციალობის თანამედროვე სტანდარტებით სწავლების ხელშეწყობა.* | $ 12 960 |
| რელიგიური პლურალიზმის ცენტრი | **საინფორმაციო-ანალიტიკური ქართულ-ინგლისური ინტერნეტ-გვერდი**<br>*ინგლისურ-ქართული ვებსაიტის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს რელიგიური განათლებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ქვეყანაში.* | $ 1 873 |
| განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი | **გამჭვირვალობა და ანტიკორუფციული ღონისძიებები განათლებაში**<br>*განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის სემინარი (8-10 ოქტომბერი, 2007) „გამჭვირვალობა და ანტიკორუფციული ღონისძიებები განათლებაში“ (განათლების მხარდაჭერის ქსელური პროგრამა, ბუდაპეშტი).* | $ 24 535 |
| საინიციატივო ჯგუფი (ხელმძღვანელი ელგუჯა დადუნაშვილი) | **ინტერკულტურული დიალოგის პრაქტიკა ქვემო ქართლში**<br>*ქვემო ქართლში აზერბაიჯანულ და ქართულ თემებს შორის ურთიერთქმედების ფორმების შესწავლა ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობის მიზნით.* | $ 12 823 |
| კავშირი „21-ე საუკუნე“ | **ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრაქტიკის გაუმჯობესება**<br>*ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მოდელების გაცნობის მიზნით, წიგნის „სახელმწიფო და რელიგია ევროკავშირის ქვეყნებში“ თარგმნა და გამოცემა.* | $ 2 207 |

[1] თანხა გაიცა არასაგრანტო რეჟიმში, ვინაიდან პროექტი განახორციელა სხვა ქვეყნის მოქალაქემ.

| | | |
|---|---|---|
| საინიციატივო ჯგუფი (ხელმძღვანელი გვანცა გოგოლაძე) | **GLOW (საზაფხულო ბანაკი გოგონებისათვის)**<br>*საზაფხულო ბანაკის ორგანიზება გოგონებისათვის მათი სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის მიზნით.* | $ 1 580 |
| ფონდი „სოროსის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები“ | **მე – ახალგაზრდა მეცნიერი 2007**<br>*კონკურსის ჩატარება ახალგაზრდა მეცნიერებისათვის, გამარჯვებულთა გაგზავნა საზღვარგარეთ ევროკავშირის ეგიდით ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.* | $ 1 301 |
| ლია ღლონტი | **საჭიროებათა შეფასება: განათლება რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის**<br>*საჭიროებათა შეფასება რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის საქართველოში, პრობლემური საკითხებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით.* | $ 2 605 |
| საქართველოში საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალი“ | **20–იანი წლების პოლიტპატიმრების შესახებ გამოფენის მომზადება**<br>*20–იანი წლების საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ საზოგადოება „მემორიალის“ ხელთ არსებული მასალის საექსპოზიციოდ მომზადება და გამოფენა.* | $ 1 326 |
| ასოციაცია „მრავალეროვანი საქართველოს ქალები“ | **ქალთა სამართლებრივი მხარდაჭერის ცენტრების შექმნა**<br>*ქვემო ქართლში (დმანისსა და წალკაში) სამართლებრივი მხარდაჭერის ცენტრების შექმნა ქალებისა და მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების სამოქალაქო და კულტურული უფლებების დაცვის მიზნით.* | $ 12 907 |
| შ.პ.ს „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი“ | **სოციალური პედაგოგები „ქუჩის ბავშვებისათვის“**<br>*ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის აღსაზრდელთათვის სოციალური ინტეგრაციის ხელშემწყობი უნარ-ჩვევების სწავლება.* | $ 5 200 |
| ხაშურის რაიონის სურამის ბავშვთა სახლი | **სურამის ბავშვთა სახლის დახმარება**<br>*სურამის ბავშვთა სახლის ტექნიკური დახმარება.* | $ 515 |
| საქართველოს პორტიჯის ასოციაცია | **პორტიჯის ადრეული განვითარების პროგრამა (გაგრძელება)**<br>*შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ადრეული განვითარების პროგრამის დანერგვა საქართველოში.* | $ 175 |
| | ჯამი: | $ 302 610 |

## პარტნიორული პროექტები

| | | |
|---|---|---|
| ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | **ბავშვთა ნახატებით ილუსტრირებული კალენდრის „გზა ევროპისკენ“ ბეჭდვა და გავრცელება**<br>*პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ბავშვების ნახატების კონკურსის ჩატარება ევროინტეგრაციის თემაზე; გამარჯვებული ნახატებით კალენდრის გაფორმება, დაბეჭდვა და გავრცელება.* | $ 2 690 |
| | ჯამი: | $ 2 690 |

## შიდა პროექტები

| | | |
|---|---|---|
| ინტეგრაციის მიმართულება | **ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის (AP) შემუშავებასა და განხორციელების მონიტორიგში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა**<br>*ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ესპ) სამოქმედო გეგმის (სგ) შემუშავებასა და განხორციელების მონიტორიგში ექსპერტების ჩართვა სამოქალაქო საზოგადოებიდან, საქართველოში ესპ-ის შესახებ ელექტრონული ბიულეტენისა და ვებსაიტის მომზადება.* | $ 13 000 |
| ინტეგრაციის მიმართულება | **მშვიდობისა და ადამიანის უფლებების სამხრეთკავკასიური კინოფესტივალი „მე – ადამიანი“**<br>*დოკუმენტური ფილმების ჩვენებისა და საჯარო დისკუსიის სამდღიანი პროგრამის ორგანიზება სამხრეთკავკასიის 25 ქალაქსა თუ სოფელში.* | $ 23 364 |
| სამოქალაქო განათლების მიმართულება | **ორლანდო ფიჯესის ვიზიტი საქართველოში**<br>*ორლანდო ფიჯესის ვიზიტი საქართველოში – ქვეყანაში კულტურის კვლევების განვითარების ხელშეწყობა.* | $ 1 362 |
| სამოქალაქო განათლების მიმართულება | **ბერნარდ ვალდენფელსის ვიზიტი საქართველოში**<br>*ბერნარდ ვალდენფელსის ვიზიტი საქართველოში – ქვეყანაში კულტურის კვლევების განვითარების ხელშეწყობა.* | $ 1 980 |

| | | |
|---|---|---|
| სამოქალაქო განათლების მიმართულება | **განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის (გაგრძელება)**<br>*სოციალური მეცნიერებებისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ტრენინგის კურიკულუმისა და სასწავლო მასალების შემუშავება; მასწავლებელთა ჯგუფების ტრენინგი.* | $ 7 985 |
| სამოქალაქო განათლების მიმართულება | **სასწავლო პაკეტი სამოქალაქო განათლებაში**<br>*სამოქალაქო განათლებაში სასწავლო პაკეტის შექმნა და სამოქალაქო განათლების სწავლების დონის ამაღლება.* | $ 5 395 |
| სამოქალაქო განათლების მიმართულება | **სოციალური კაპიტალი და თანამშრომლობის კულტურა**<br>*სოციალური კაპიტალის კვლევა და თანამშრომლობის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა.* | $ 8 076 |
| სამოქალაქო განათლების მიმართულება | **ბავშვები რისკის ქვეშ: საჭიროებათა შეფასება**<br>*რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების საჭიროებათა შეფასება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში - პროგრამის შემუშავება.* | $ 3 005 |
| სამოქალაქო განათლების მიმართულება | **შავი ზღვის რეგიონული იდენტობა**<br>*შავი ზღვის რეგიონული იდენტობის საკითხების შესწავლა - მონაწილეობა რეგიონულ თანამშრომლობასა და განვითარებაში.* | $ 57 200 |
| | ჯამი: | $ 122 367 |

### *სხვა ხარჯები*

პროექტების შემუშავების, შერჩევისა და მონიტორინგის, სემინარების, კონფერენციების, შეხვედრებისა და მგზავრობების ხარჯი. $ 11 769

**სულ: $ 544 520**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სულ პროგრამული აქტივობებისათვის დახარჯული თანხა: | | | | 544 520 |
| პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა | პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი | | 402 545 | 560 083 |
| | დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან | ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI) | 87 345 | |
| | | ფონდის სხვა პროგრამებიდან მიღებული თანხა | 0 | |
| | | ღია განვითარების ფონდი (ODF) | 70 193 | |
| | | მესამე წყარო | 0 | |
| გამოუყენებელი თანხა | ფონდის სხვა პროგრამებისათვის გადაცემული თანხა | | 14 788 | 15 563 |
| | გაუნაწილებელი თანხა | | 775 | |
| ადმინისტრაციული ბიუჯეტი | | | | 53 258 |
| სულ ფონდის ბიუჯეტიდან პროგრამაზე გადანაწილებული თანხა *(ქსელური თანხების ჩათვლით)* | | | | 613 341 |



# პროგრამა „აღმოსავლეთ-აღმოსავლეთი"

(ქსელური პროგრამა)

პროგრამის „აღმოსავლეთ-აღმოსავლეთი" მიზანია კერძო პირებისა და ორგანიზაციების მონაწილეობის მხარდაჭერა პროგრამის ქსელის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ღონისძიებებში, ტრენინგებსა თუ სემინარებში, რომლებიც ხელს უწყობს სოციალური ცვლილებების გლობალურ გააზრებას; ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოურ სივრცეში სამოქალაქო აქტივობათა შედეგების ურთიერთგაზიარება.

პროგრამა ხელს უწყობს ხალხთა შორის დიალოგსა და აზრთა ურთიერთგაცვლისათვის ნეიტრალური სივრცის შექმნას და ამ გზით საქართველოში ღია საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფას ეხმარება.

2007 წელს პროგრამის „აღმოსავლეთ-აღმოსავლეთი" ძირითადი პრიორიტეტები იყო:

- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;
- სამართალი და ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ეკონომიკური ინოვაციები ეკონომიკური ტრანზიციის პერიოდში;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და სიახლეები სოციალურ ჯანდაცვაში;
- გარემოს დაცვა და პროპაგანდა;
- ევროპული და რეგიონული ინტეგრაცია.

## პროგრამული აქტივობები

### არასაკონკურსო პროექტები

| | | |
|---|---|---|
| გიორგი კვაბზირიძე, დავით ხაჩიძე | **არასრულწლოვანთა სასამართლო სისტემის მუშაობის გამოცდილება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში**<br>*ქ. კიევში (უკრაინა) გამართულ საერთაშორისო სემინარში მონაწილეობა არასრულწლოვანთა სასამართლო სისტემის დანერგვაში ჩართულ ორგანიზაციებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით. სემინარის თემები: მოზარდთა მართლმსაჯულების მოდელები, უკრაინის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეროვნული კონცეფციისა და კანონპროექტის ანალიზი.* | $ 920 |
| ნანა ფეიქრიშვილი, ოლღა ფანჩულიძე, ქეთევან დადუნაშვილი, ირმა ალადაშვილი, შორენა ძოწენიძე | **აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება: ევროპული ინტეგრაციის პროცესში გენდერული თანასწორუფლებიანობის სტანდარტების მონიტორინგი**<br>*ქ. ვარშავაში (პოლონეთი) გამართულ ტრენინგსა და საკოორდინაციო შეხვედრაში მონაწილეობა ბელარუსის, მოლდოვის, უკრაინის, საქართველოსა და პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ტრენინგისა და შეხვედრის თემები: არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გენდერული თანასწორუფლებიანობის ევროპული სტანდარტების დანერგვაში, ამ სტანდარტების განხორციელებაზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მონიტორინგის ხელშეწყობა.* | $ 4 260 |

| | | |
|---|---|---|
| ნინო გულაშვილი | **მოქალაქეები და სამოქალაქო საზოგადოება გაერთიანებულ ევროპაში**<br>*ქ. სიბიუში (რუმინეთი) გამართულ შეხვედრაში სოციალური მეცნიერების წარმომადგენლების მონაწილეობა ევროკავშირის გაფართოების პროცესის ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებზე ზეგავლენის გაანალიზებისა და სოციალური ღირებულებების კვლევისათვის საჭირო ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით.* | $ 1 070 |
| თინათინ გეჯაძე, თეა გველესიანი, ნანა ნერსეზაშვილი, ნანა არშაულიძე, მილენა მითაგვარია, მარეხ კირთაძე, მარინა თოფურია, მადლენა კვარაცხელია | **ქალი ლიდერები თემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის**<br>*ქ. ქ. ვარშავაში, კატოვიცეში, გრზიბოვსა და გოვოროვში (პოლონეთი) სასწავლო ვიზიტის ორგანიზება კოსოვოს, საქართველოსა და ტაჯიკეთის სასოფლო რეგიონებში ადგილობრივი თემის ლიდერებს შორის სიღარიბის, მარგინალიზაციისა და სოციალური იზოლაციის დასაძლევად ადგილობრივი განვითარების ინიციატივების შესახებ პრაქტიკული ცოდნის გაზიარების მიზნით.* | $ 7 814 |
| თამარ პატარაია, კახაბერ გოგოლაშვილი | **სამოქალაქო საზოგადოების დიალოგი და გამოცდილების გაზიარება: ესპ-ის სამოქმედო გეგმის განხორციელება**<br>*ქ. კიევში (უკრაინა) სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებსა და ესპ-ის ექსპერტებს შორის პირველი შეხვედრის ორგანიზება საზოგადოებრივი დიალოგის ინიცირებისა და ევროკავშირის აღმოსავლელ მეზობელ ქვეყნებში ესპ-ის და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით.* | $ 616 |
| ავთანდილ ჭელიძე, მერაბ თოფურია, დავით ჭანკოტაძე | **განათლების სფეროში ხარისხის გაუმჯობესების, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ანგარიშვალდებულების შეფასება**<br>*ქ. კიევში (უკრაინა) საერთაშორისო სემინარის ორგანიზება შეფასების სისტემებისა და საგამოცდო რეფორმების გაანალიზების, მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავების, საგამოცდო რეფორმებზე საჯარო დისკუსიის დაწყებისა და განათლების სფეროში შეფასებისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო საინფორმაციო რესურსის გაძლიერების მიზნით.* | $ 1 625 |
| ალექსანდრე რუსეცკი | **მეტი ვიდრე მეზობლები**<br>*ქ. პრაღაში (ჩეხეთი) არასამთავრობო ორგანიზაციების, ჟურნალისტების, აქტივისტებისა და მეცნიერების კონფერენციაში მონაწილეობა ესპ-ისა და ევროკავშირის ენერგომომარაგების საკითხებზე დისკუსიებში სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების ჩართულობისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით.* | $ 926 |

| | | |
|---|---|---|
| აკაკი ჩარგეიშვილი, ზვიად როგავა, ზაზა რუხაძე, თამარ მეტრეველი, თამარ გარდაფხაძე, ნინო გვენეტაძე, ნათია წკეპლაძე, მელანია კარანაძე, ხათუნა ლორია, ქეთევან ჯინჭარაძე, ივანე ბალახაშვილი, გულნარა იმედაშვილი, ეკატერინე სხილაძე, არჩილ ლორია, ანა ხურციძე | **სასწავლო ვიზიტი პოლონეთში. ევროპული იურიდიული განათლების სისტემა – როგორ მუშაობს?**<br>*I ჯგუფის ვიზიტი*<br>*პროექტის I ეტაპი - პირველი სამუშაო ვიზიტი პოლონეთში: საქართველოში სამართლის პედაგოგების სასწავლო ვიზიტები პოლონეთის უნივერსიტეტებში იმ მეთოდოლოგიებისა და უნარ-ჩვევების შესწავლის მიზნით, რომლებიც გამოიყენება საგანმანათლებლო ინსტიტუტებში სტუდენტებთან მუშაობისას, საქართველოში განათლების რეფორმაში პედაგოგთა ჩართულობის ხელშეწყობა პოლონეთის გამოცდილების გათვალისწინებით.* | $ 15 619 |
| მარინა თავაქარაშვილი, გოდერძი ვაჭრიძე, გივი ლობჟანიძე, ვეფხვია გრიგალაშვილი, ალექსანდრე ბრეგვაძე, ვეფხია გვარამია, თამაზ მორალიშვილი, თამარ მეტრეველი, რუსუდან ქუთათელაძე, ნანა ჭიღლაძე, მანანა მოსულიშვილი, მანანა კოპალიანი, მამუკა შენგელია, კახაბერ გაბელაშვილი, ირაკლი დვალიძე | **სასწავლო ვიზიტი პოლონეთში. ევროპული იურიდიული განათლების სისტემა – როგორ მუშაობს?**<br>II *ჯგუფის ვიზიტი*<br>*პროექტის II ეტაპი - მეორე სამუშაო ვიზიტი პოლონეთში: საქართველოში სამართლის პედაგოგების სასწავლო ვიზიტები პოლონეთის უნივერსიტეტებში იმ მეთოდოლოგიებისა და უნარ-ჩვევების შესწავლის მიზნით, რომლებიც გამოიყენება საგანმანათლებლო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებთან მუშაობისას, საქართველოში განათლების რეფორმაში პედაგოგთა ჩართულობის ხელშეწყობა პოლონეთის გამოცდილების გათვალისწინებით.* | $ 14 078 |
| საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | **სასწავლო ვიზიტი პოლონეთში. ევროპული იურიდიული განათლების სისტემა – როგორ მუშაობს?**<br>*პროექტის III ეტაპი - სამუშაო ვიზიტი საქართველოში: პოლონეთის უნივერსიტეტების სამართლის პედაგოგების სასწავლო ვიზიტები საქართველოში იმ მეთოდოლოგიებისა და უნარ-ჩვევების შესწავლის მიზნით, რომლებიც გამოიყენება საგანმანათლებლო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებთან მუშაობისას, საქართველოში განათლების რეფორმაში პედაგოგთა ჩართულობის ხელშეწყობა პოლონეთის გამოცდილების გათვალისწინებით.* | $ 14 680 |
| ინგა შარიქაძე | **განათლება ყველასათვის**<br>*ქ. ბრატისლავაში (სლოვაკეთი) გამართულ სამუშაო შეხვედრაზე გამოცდილების გაზიარება მხედველობადაქვეითებული ბავშვების მასწავლებლებს შორის, აგრეთვე, მხედველობადაქვეითებულ მასწავლებლებსა და უნივერსიტეტის იმ პედაგოგებს შორის, რომლებიც ამზადებენ მხედველობადაქვეითებულ მოსწავლეთა პედაგოგებსა და მზრუნველებს უნივერსიტეტებში, მხედველობადაქვეითებულთათვის სპეციალურ სკოლებსა და მხედველობადაქვეითებულთა ასოციაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.* | $ 1 902 |

| | | |
|---|---|---|
| რუსუდან ზურაბიშვილი, რამაზ ქვათაძე, ირაკლი ღარიბაშვილი | **საინფორმაციო ტექნოლოგიები განათლებაში**<br>*ქ. ერევანში (სომხეთი) გამართულ კონფერენციაში საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის პრაქტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღებების მონაწილეობა განათლების სფეროში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და ელექტრონული რესურსების მართვის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით.* | $ 1 005 |
| გულაბერ ანანიაშვილი | **სოციალური უზრუნველყოფა: ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობები**<br>*ქ. ვილნიუსში (ლიტვა) გამართულ სამუშაო შეხვედრაში სოციოლოგიის, ეკონომიკის, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სოციო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში გადაწყვეტილების მიმღებების მონაწილეობა. შეხვედრის მთავარი მიზნები: გამოცდილების გაზიარება, სოციალური მუშაკის მომზადების საუკეთესო მაგალითების შესწავლა, სოციალური მეცნიერებების სწავლების გაუმჯობესებისა და მოდერნიზებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.* | $ 720 |
| ნაზიბროლა ჯანეზაშვილი, გიორგი ტოკლიკიშვილი | **საზოგადოებრივი მართვის მე-3 წლიური საზაფხულო ინსტიტუტი: კომუნიკაცია – მართვის საუკეთესო საშუალება**<br>*ლატვიაში საზოგადოებრივი მართვის III წლიურ საზაფხულო ინსტიტუტში ახალგაზრდა საჯარო მოხელეების, საზოგადოებრივი მართვის და კომუნიკაციის სპეციალისტების მონაწილეობა. საზაფხულო სკოლის მთავარი თემები: საჯარო კომუნიკაცია, კომუნიკაცია, როგორც პოლიტიკის შემუშავების განუყოფელი ნაწილი, კომუნიკაციის კვლევა, საკომუნიკაციო კამპანიის წარმოება კრიზისის დროს, კომუნიკაცია და ახალი მედიასაშუალებები, ქვეყნებს შორის მართვის თანამედროვე სტანდარტების გავრცელება.* | $ 1 389 |
| კახა გაბუნია, სიმონ ჯანაშია, გიორგი გახელაძე, ლევან ბერიძე, მაია ინასარიძე, ნინო შარაშენიძე, მარიკა ოძელი | **გამოცდილების გაზიარება ლატვიელ და ქართველ ექსპერტთა შორის მეორე ენისა და ბილინგვური სწავლების პროცესში**<br>*პროექტის I ეტაპი: სასწავლო ვიზიტი ქ. რიგაში არასამთავრობო ორგანიზაციებსა და განათლების პოლიტიკაზე პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და საქართველოს დაწყებით და საშუალო სკოლებში მულტილინგვური სწავლების საცდელი მოდელების დანერგვის შესაძლებლობათა შესასწავლად.* | $ 3 877 |
| სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი | **გამოცდილების გაზიარება ლატვიელ და ქართველ ექსპერტთა შორის მეორე ენისა და ბილინგვური სწავლების პროცესში**<br>*პროექტის II ეტაპი: სამუშაო ვიზიტი საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებსა და განათლების პოლიტიკაზე პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და საქართველოს დაწყებით და საშუალო სკოლებში მულტილინგვური სწავლების საცდელი მოდელების დანერგვის შესაძლებლობათა შესასწავლად.* | $ 7 910 |
| გიორგი კანდელაკი | **რეპრესიული სახელმწიფო აპარატის რეფორმირება: ცენტრალური ევროპის გამოცდილება**<br>*ქ. პრაღაში (ჩეხეთი) გამართულ სემინარში რეფორმატორების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლების, პოლიტიკოსებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების მონაწილეობა ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების, რეფორმის პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გაანალიზების მიზნით.* | $ 1 140 |

| | | |
|---|---|---|
| თეონა კუპატაძე, თეა გაგუა, ოლღა ფანჩულიძე, ლევან მაჭავარიანი, ელისო ამირეჯიბი, ზვიად ოქროპირიძე | **ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება და თანამშრომლობა – პრევენცია, დაცვა, აღმოფხვრა და ტრენინგი**<br>*პროექტის I ეტაპი: ქ. პრაღაში (ჩეხეთი) საქართველოს სამართალდამცავთა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სასწავლო ვიზიტის ორგანიზება გამოცდილების გაზიარების მიზნით. ვიზიტის მთავარი თემები: ჩეხეთში ჩატარებული პოლიციის ტრენინგი, ქართველი ინსტრუქტორებისათვის ახალი მეთოდოლოგიების და ტექნოლოგიების გაცნობა, საქართველოში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება ჩეხეთის გამოცდილების საფუძველზე.* | $ 5 134 |
| ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი | **თანამშრომლობა და ტრენინგების განხორციელება ოჯახური ძალადობის დაძლევის, დაცვისა და პრევენციის მიზნით**<br>*პროექტის II ეტაპი: ქ. თბილისში ჩეხეთის სამართალდამცავთა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სასწავლო ვიზიტის ორგანიზება გამოცდილების გაზიარების მიზნით. ვიზიტის მთავარი თემები: ჩეხეთში ჩატარებული პოლიციის ტრენინგი, ქართველი ინსტრუქტორებისათვის ახალი მეთოდოლოგიების და ტექნოლოგიების გაცნობა, საქართველოში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება ჩეხეთის გამოცდილების საფუძველზე.* | $ 6 416 |
| ქეთევან კვინიკაძე, კონსტანტინე კანდელაკი, ლაშა ჯუღელი, ლევან ფანიაშვილი, ნატო შავლაყაძე, შოთა მურღულია, გიორგი მესხიძე, გვანცა ბაქრაძე, დავით ნარმანია, ია მამალაძე | **თანამშრომლობის ხელშეწყობა: საქართველოსა და მოლდოვის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სასწავლო ვიზიტი პოლონეთში სოციალური აქტივობის ასამაღლებლად**<br>*პირველი 2 ეტაპი წინა წელში განხორციელდა და წინა წლის ანგარიშშია შესული. პროექტის III ეტაპი: სასწავლო ვიზიტის ორგანიზება პოლონეთში მოლდოვისა და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. პოლონეთის, მოლდოვისა და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა გააქტიურების მიზნით, განსაკუთრებით, სოფლად და მარგინალურ ერთობებში; სამოქალაქო აქტივობებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების გამოცდილების შედარებითი ანალიზი.* | $ 10 275 |
| თეა ტარიელაშვილი, ეკატერინე მეგრელიშვილი, გიორგი ხუციშვილი, კონსტანტინე ოთხმეზური, ირინე სულხანიშვილი | **კონფლიქტები ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში: პროგნოზირება**<br>*ქ. ვილნიუსში (ლიტვა) მრგვალი მაგიდისა და სამუშაო შეხვედრის ორგანიზება საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებისათვის, ანალიტიკოსებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სტუდენტებისათვის. შეხვედრის თემები: ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები და მათ მოგვარებაში მესამე მხარის როლი; კონფლიქტის პროგნოზირება და მოგვარება.* | $ 4 318 |
| გიგი თევზაძე | **ბიზანტიურ-ოტომანური მემკვიდრეობიდან შავი ზღვის რეგიონულ იდენტობამდე**<br>*ქ. ქ. სტამბულსა (თურქეთი) და სოფიაში (ბულგარეთი) შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებას, აკადემიურ წრეებსა და პოლიტიკის განმახორციელებლებს შორის შეხვედრების ორგანიზება თანამშრომლობის გაძლიერებისა და შავი ზღვის რეგიონში ახალი იდენტობის ჩამოყალიბების საჭიროებაზე მოსაზრებათა შემუშავების მიზნით.* | $ 1 879 |

| | | |
|---|---|---|
| ნინო შუშანია, ნოდარ სარჯველაძე | **მულტიკულტურული საზოგადოება: არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობაში გამოცდილების გაზიარება**<br>*ქ. სიმფეროპოლში (უკრაინა) საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით. კონფერენციის მთავარი თემები: ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობისა და ინტერკულტურული დიალოგის ხელშემწყობი ინოვაციური პროექტების განხორციელება; კონფლიქტის ადრეულ პრევენციაზე კომპლექსური პროგრამების შემუშავება; ერთობლივი საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება.* | $ 1 390 |
| გიორგი აბაშიშვილი, შოთა ბექაძე, რავშან ცაცანიძე, ნურადინ თუიღუნაშვილი, ნონა ჯაფარიძე, მახამატ ხუციშვილი, ლალი ციხისელი, ირაკლი ჩხენკელი, აბიდა მაკარიძე, ზურაბ ბრაგვაძე | **ეროვნული უმცირესობების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში**<br>*ქ. სიმფეროპოლში (უკრაინა) სასწავლო ვიზიტის ორგანიზება უკრაინისა და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვასა და ეროვნულ ერთობებში თვითორგანიზებაზე ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.* | $ 7 243 |
| სოფიო მდინარაძე, მადონა ნოზაძე, პაატა ცნობილაძე, ია მამალაძე, ეკატერინე ფირცხალავა, ლევან გელაშვილი, თამარ როსტიაშვილი, ნინო ჭიჭინაძე, თამარ ზაალიშვილი, კობა ლიკლიკაძე, თენგიზ გოგოტიშვილი | **მოლდოვიდან, უკრაინიდან და საქართველოდან ჟურნალისტების ვიზიტი ლატვიაში**<br>*პროექტის I ეტაპი: ქ. რიგაში (ლატვია) უკრაინის, მოლდოვის, საქართველოს და ლატვიის ჟურნალისტებისა და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებისათვის სასწავლო ვიზიტის ორგანიზება ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სივრცეში ლატვიის ინტეგრირების პროცესების გაანალიზების მიზნით.* | $ 6 258 |
| კობა ლიკლიკაძე, ლევან გელაშვილი, ირაკლი ალადაშვილი | **შემაჯამებელი შეხვედრა უკრაინაში: ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი/ჟურნალისტების ვიზიტი მოლდოვიდან, საქართველოსა და ლატვიიდან**<br>*პროექტის II ეტაპი: ქ. კიევში შემაჯამებელი შეხვედრა უკრაინის, მოლდოვის, საქართველოს და ლატვიის ჟურნალისტებსა და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებისათვის სახელმწიფოს, ბიზნესის, არასამთავრობო და მედია სექტორების პერსპექტივიდან ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების პროცესების გაანალიზების მიზნით.* | $ 1 470 |
| გალინა პეტრიაშვილი, მარინა თაბუკაშვილი | **გენდერული თანასწორობა – ადგილობრივი განვითარების საკვანძო წინაპირობა**<br>*ქ. ვილნიუსში (ლიტვა) საერთაშორისო შეხვედრის ორგანიზება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ექსპერტებისა და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებისათვის. შეხვედრის თემები: ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში გენდერული თანასწორობის კომპონენტის ჩართვის პრაქტიკული ინსტრუმენტების გაანალიზება; გენდერული თანასწორობის გაძლიერების ევროპული გამოცდილების გაცნობა.* | $ 1 738 |

| | | |
|---|---|---|
| ბესიკ წერედიანი, დალილა ხორავა, ლილი ბერაია, ნატალია ჩუბინიძე | **კონფლიქტების ტრანსფორმაცია და გადაადგილებულ პირთა რეინტეგრაცია: ბალკანეთისა და კავკასიის გამოცდილება**<br>*პროექტის I ეტაპი: ქ. ქ. ბელგრადში (სერბეთი) და პრიშტინაში (კოსოვო) იძულებით გადაადგილებულ პირთა/ლტოლვილთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის სასწავლო ვიზიტების ორგანიზება გაყოფილ და იძულებით გადაადგილებულ თემებში არსებული სამშვიდობო პოტენციალის შესწავლისა და მიღებული გამოცდილების შესაბამის სამთავრობო სტრატეგიებში ასახვის მიზნით.* | $ 3 605 |
| იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ | **კონფლიქტების ტრანსფორმაცია და გადაადგილებულ პირთა რეინტეგრაცია: ბალკანეთისა და კავკასიის გამოცდილება**<br>*პროექტის II ეტაპი: ქ.თბილისში იძულებით გადაადგილებულ პირთა/ლტოლვილთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის სასწავლო ვიზიტის ორგანიზება გაყოფილ და იძულებით გადაადგილებულ თემებში არსებული სამშვიდობო პოტენციალის შესწავლისა და მიღებული გამოცდილების შესაბამის სამთავრობო სტრატეგიებში ასახვის მიზნით.* | $ 4 040 |
| ზაურ ხალილოვი, კონსტანტინე კანდელაკი, დავით პაიჭაძე, დენოლა ჩხარტიშვილი, გალინა გოთუა, მართა არდაშელია, მიხეილ ქართველიშვილი, ირაკლი ალადაშვილი, ნინო ლამბაშიძე, თამაზ წვერავა | **ნდობის გამყარება კონფლიქტურ რეგიონებში: ქართული და მოლდოვური გამოცდილების გაზიარება**<br>*პროექტის I ეტაპი: საქართველოსა და მოლდოვის აკადემიურ წრეებს, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებსა და ჟურნალისტებს შორის შეხვედრების ორგანიზება საქართველოში. შეხვედრების მთავარი მიზნები: ორ ქვეყანაში არსებულ გაყინულ კონფლიქტებთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური საკითხების გაანალიზება; ნდობის გამყარებისა და კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და სტრატეგიების შემუშავება.* | $ 10 488 |
| მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი | **ნდობის გამყარება კონფლიქტურ რეგიონებში: ქართული და მოლდოვური გამოცდილების გაზიარება**<br>*პროექტის II ეტაპი: საქართველოსა და მოლდოვის აკადემიურ წრეებს, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებსა და ჟურნალისტებს შორის შეხვედრების ორგანიზება მოლდოვაში. შეხვედრების მთავარი მიზნები: ორ ქვეყანაში არსებულ გაყინულ კონფლიქტებთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური საკითხების გაანალიზება; ნდობის გამყარებისა და კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და სტრატეგიების შემუშავება და შედარებითი კვლევის მომზადება.* | $ 14 700 |
| ლალი გოგიჩაიშვილი, პაატა გაჩეჩილაძე, მადონა კოიძე | **მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკის შემუშავების საუკეთესო მაგალითები და თანამშრომლობის ხელშეწყობა**<br>*ქ. ვილნიუსში (ლიტვა) სამუშაო შეხვედრის ორგანიზება მომხმარებელთა უფლებების დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების თანამშრომლობის გამოცდილების გაზიარების მიზნით. სამუშაო შეხვედრის თემები: მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება; ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და უკეთ გავრცელების და მომხმარებელთა განათლების საშუალებების ანალიზი.* | $ 2 345 |

| | | |
|---|---|---|
| ნატო შავლაყაძე, ოლღა ფანჩულიძე, მაია ბუჩუკური, მადონა ჭეიშვილი, გიორგი კვერნაძე, ვახტანგ სურგულაძე, რეგინა კახიძე | **სოციალური სისტემების კავშირის სისტემა: ხელისუფლებას, ადგილობრივ თვითმმართველობასა და მესამე სექტორს შორის თანამშრომლობა (2007-2008)**<br>*პროექტის I ეტაპი: ქ. ტალინში (ესტონეთი) სასწავლო ვიზიტის ორგანიზება ორი ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით. სასწავლო ვიზიტის ამოცანები: არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობა, განახორციელონ მონიტორინგი სოციალური მომსახურების, ჯანდაცვისა და დაზღვევის სფეროში საბიუჯეტო თანხების ხარჯვაზე; საზოგადოების ინფორმირება და ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.* | $ 6 105 |
| ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი | **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარება ესტონეთის გამოცდილების საფუძველზე**<br>*პროექტის II ეტაპი: ქ. თბილისში სასწავლო ვიზიტის ორგანიზება ორი ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით. სასწავლო ვიზიტის ამოცანები: არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობა, განახორციელონ მონიტორინგი სოციალური მომსახურების, ჯანდაცვისა და დაზღვევის სფეროში საბიუჯეტო თანხების ხარჯვაზე; საზოგადოების ინფორმირება და ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.* | $ 12 570 |
| სერგეი ფიდანიანი, გიორგი კაკულია, ეკატერინე გულუა | **გახდეს ახალგაზრდების ხმა ყველასათვის მისაწვდომი სამხრეთ კავკასიაში**<br>*ქ. ვილნიუსში (ლიტვა) ახალგაზრდა ლიდერებსა და აქტივისტებს შორის შეხვედრების ორგანიზება გამოცდილების გაზიარების მიზნით. შეხვედრების დროს საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიის მომზადება და განხორციელება სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ ევროპული საზოგადოების ინფორმირებისათვის.* | $ 2 761 |
| ლია სარალიძე, ლალი ჩხეტია, ნინო აღდგომელაშვილი, მაია ხუნდაძე | **ბავშვობა ძალადობის გარეშე/ბავშვები იურიდიული პროცედურების მოწმეები**<br>*ქ. რიგაში (ლატვია) არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალური და ბავშვთა უფლებების დამცველი მუშაკების, სამართალდამცავებისა და პოლიტიკოსებისათვის გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა ბავშვების, როგორც იურიდიული პროცედურის მოწმეების, დაცვაში გამოცდილების გაზიარებისა და საუკეთესო მაგალითების გაცნობის მიზნით.* | $ 2 541 |
| თამარ ღვალაძე, დავით ონიანი, მანანა ქოჩლაძე | **საზოგადოებრივი კონტროლი მოპოვებით მრეწველობაზე**<br>*ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მრეწველობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში რეგიონული თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.* | $ 1 060 |

| | | |
|---|---|---|
| ნანა ჯანაშია | **ნავთობსადენის პროექტების გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში** *ქ. სისაკში (ხორვატია) სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მილსადენის საკითხებზე მომუშავე გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის შექმნის მიზნით ორგანიზებულ სემინარში მონაწილეობა. ქსელის ამოცანები: საზოგადოების მომზადება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სამი ახალი მილსადენის მშენებლობისათვის; არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამ მილსადენების მშენებლობაზე მონიტორინგის განხორციელება გარემოს დაზიანების და ადამიანთა ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალური პრევენციის მიზნით.* | $ 870 |
| ლევან ავალიშვილი | **საუკეთესო გამოცდილება სისხლის ნებაყოფლობითი დონორობის ხელშეწყობაში** *ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებისათვის შემაჯამებელი შეხვედრის ორგანიზება გამოცდილების გაზიარების, სისხლის ნებაყოფლობითი დონორობის პოპულარიზაციისა და დონორობასთან დაკავშირებით მოსახლეობაში არსებულ მიდგომაში ცვლილებების სტიმულირების მიზნით.* | $ 970 |
| გიორგი თარხან-მოურავი | **ცენტრალურ აზიაში სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პერსპექტივები** *ქ. ბიშკეკში (ყირგიზეთი) სამუშაო შეხვედრის ორგანიზება ანალიტიკოსებს, გადაწყვეტილების მიმღებებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით. შეხვედრის თემები: ცენტრალურ აზიაში მიმდინარე პროცესების გაანალიზება და მდგრადი დემოკრატიული ინსტიტუტების მოდელების შემუშავება; საზოგადოების ჩართვა სოციალური რეფორმებისა და განვითარების შესახებ დებატებში.* | $ 1 295 |
| თამაზ ბორჩაშვილი, მანანა ალხანაშვილი, სვეტლანა ბორჩაშვილი, ხადიშათ ბადაკაშვილი, მელსი ბადაკაშვილი | **აგროტურიზმის განვითარება პანკისსა და ჯავახეთში – სამოქალაქო საზოგადოების განვითარება** *ქ. ვარშავაში (პოლონეთი) საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის სასწავლო ვიზიტის ორგანიზება, ტურიზმის გზით სოფლის მდგრადი განვითარების შესაძლებლობების შესახებ პოლონეთის გამოცდილების გაცნობის მიზნით.* | $ 4 775 |
| საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია | **ზრდასრულთა განათლების ინტეგრაცია და ჰარმონიზაცია** *ქ. ბათუმში საზაფხულო აკადემიის ორგანიზება ზრდასრულთა განათლების სფეროში ჩართული ორგანიზაციებისათვის. საზაფხულო აკადემიის თემები: ზრდასრულთა განათლების ფილოსოფია; ევროპაში ზრდასრულთა განათლების სისტემის პოლიტიკა; დისტანციური სწავლების ციფრული საშუალებები; აქტიური სწავლების მეთოდები; ზრდასრულთა ფსიქოლოგია; ზრდასრულთა განათლების და დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია; განათლების მენეჯმენტი.* | $ 14 580 |
| არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ | **ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის თანამედროვე მოდელი – საქართველოსთვის ევროპული გამოცდილების გაზიარება** *ქ. თბილისში პოლონეთსა და საქართველოში მოქმედი ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრის ორგანიზება გამოცდილების გაზიარების მიზნით. სამუშაო შეხვედრის თემები: საქართველოში ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის ქსელის გაანალიზება და პოლონეთის მოდელებთან შედარება; საქართველოს ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის რეფორმაში მონაწილე წამყვანი ორგანიზაციების ჩართვა ინსტიტუციური მზრუნველობის ალტერნატიული შესაძლებლობების გაანალიზებაში; დეინსტიტუციონალიზაციის მოდელების განხორციელება საქართველოს ორ საცდელ რეგიონში პოლონეთის მაგალითის გათვალისწინებით.* | $ 13 970 |

| | | |
|---|---|---|
| ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“ | **სამოქალაქო კონტროლი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორზე**<br>*ქ. თბილისში აზერბაიჯანისა და საქართველოს ექსპერტების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება გამოცდილების გაზიარების მიზნით. შეხვედრის მთავარი თემები: აზერბაიჯანში უსაფრთხოებასა და თავდაცვის სექტორზე სამოქალაქო კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა; ამ საქმიანობაში საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გამოცდილების გაზიარება; აზერბაიჯანში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მობილიზება უსაფრთხოების სექტორზე მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების დასაწყებად.* | $ 10 810 |
| ონკოპრევენციის ცენტრი | **უკრაინისა და საქართველოს თანამშრომლობა – ტკივილის მართვის უსაფრთხო და ადეკვატური უზრუნველყოფა პაციენტებისათვის**<br>*ქ. ქ. თბილისსა და ბათუმში უკრაინისა და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების, ჯანდაცვის სპეციალისტების და გადაწყვეტილების მიმღებების სამუშაო შეხვედრების ორგანიზება. შეხვედრის მთავარი თემები: ტკივილის მართვისა და შესაბამისი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა.* | $ 7 365 |
| | **ჯამი:** | **$ 240 522** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სულ პროგრამული აქტივობებისათვის დახარჯული თანხა: | | | 240 522 | |
| პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა | | პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი | 240 522 | 240 522 |
| | დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან | ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI) | 0 | |
| | | ფონდის სხვა პროგრამებიდან მიღებული თანხა | 0 | |
| | | ღია განკარგვის ფონდი (ODF) | 0 | |
| | | მესამე წყარო | 0 | |
| გამოუყენებელი თანხა | | ფონდის სხვა პროგრამებისათვის გადაცემული თანხა | 0 | 0 |
| | | გაუნაწილებელი თანხა | 0 | |
| ადმინისტრაციული ბიუჯეტი (როგორც ფონდის ეროვნული ბიუჯეტიდან (11 624 აშშ დოლარი), ასევე ღია საზოგადოების ინსტიტუტიდან (4 381 აშშ დოლარი) მიღებული თანხა) | | | | 4 381 |
| სულ ფონდის ბიუჯეტიდან პროგრამაზე გადანაწილებული თანხა *(ქსელური თანხების ჩათვლით)* | | | 244 903 | |



# ხელოვნებისა და კულტურის პროგრამა

(ქსელური პროგრამა)

ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის ხელოვნებისა და კულტურის ქსელური პროგრამა ხელს უწყობს კულტურულ და შემოქმედებით თანამშრომლობას პროგრამის ქსელში; გამოცხადებული კონკურსების საფუძველზე, პროგრამა მხარს უჭერს სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას კულტურის პოლიტიკაში; ეხმარება დამოუკიდებელი და ინოვაციური ხელოვნების სექტორის ჩამოყალიბებას. ხელოვნებისა და კულტურის ქსელური პროგრამის მთავარი მიზანია ქვეყნებს შორის კულტურული თანამშრომლობის და კონტაქტების გაღრმავების ხელშეწყობა.

2007 წელს ხელოვნებისა და კულტურის პროგრამის გეოგრაფიული პრიორიტეტები იყო: კავკასია (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო), ცენტრალური აზია (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი), მონღოლეთი, ირანი, თურქეთი და ავღანეთი. პროგრამის ყველა კონკურსი 2007 წელს მხოლოდ ზემოხსენებულ ქვეყნებს ეხებოდა.

